# აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება №8

## 2018 წლის 21 დეკემბერი

## ქ. თბილისი

### აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

**მუხლი 1**

დამტკიცდეს აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დანართი №1 შესაბამისად.

**მუხლი 2**

ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №11 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 04/01/2018; 190020020.35.102.016165) „აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

აჟარის (ზემო აფხაზეთის)
მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე — სპარტაკ გურჩიანი

დანართი №1

**მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ბალანსი შემდეგი რედაქციით:

| აჟარის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | | | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 1,099.7 | 0.0 | 1,099.7 | 1,099.8 | 0.0 | 1,099.8 | 1,108.2 | 1,108.0 | 0.2 |
| გრანტები | 1,099.6 | 0.0 | 1,099.6 | 1,099.6 | 0.0 | 1,099.6 | 1,108.0 | 1,108.0 | 0.0 |
| სხვა შემოსავლები | 0.1 | 0.0 | 0.1 | 0.2 | 0.0 | 0.2 | 0.2 | 0.0 | 0.2 |
| ხარჯები | 1,083.2 | 0.0 | 1,083.2 | 1,099.8 | 0.0 | 1,099.8 | 1,092.6 | 1,092.6 | 0.0 |
| შრომის ანაზღაურება | 466.8 | 0.0 | 466.8 | 504.6 | 0.0 | 504.6 | 509.8 | 509.8 | 0.0 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქონელი და მომსახურება | 140.9 | 0.0 | 140.9 | 135.3 | 0.0 | 135.3 | 116.1 | 116.1 | 0.0 |
| სუბსიდიები | 66.8 | 0.0 | 66.8 | 71.4 | 0.0 | 71.4 | 70.8 | 70.8 | 0.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 279.9 | 0.0 | 279.9 | 264.2 | 0.0 | 264.2 | 269.0 | 269.0 | 0.0 |
| სხვა ხარჯები | 128.8 | 0.0 | 128.8 | 124.3 | 0.0 | 124.3 | 126.9 | 126.9 | 0.0 |
| საოპერაციო სალდო | 16.5 | 0.0 | 16.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 15.6 | 15.4 | 0.2 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 2.4 | 0.0 | 2.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 40.7 | 15.4 | 25.3 |
| ზრდა | 2.4 | 0.0 | 2.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 45.7 | 15.4 | 30.3 |
| კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 5.0 | 0.0 | 5.0 |
| ზრდა | 14.1 | 0.0 | 14.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 14.1 | 0.0 | 14.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 25.1 | 0.0 | 25.1 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 25.1 | 0.0 | 25.1 |
| ბალანსი | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |

## მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| აჭარის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | | | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
| | | მათ შორის | | | მათ შორის | | | | |
| | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 1,099.7 | 0.0 | 1,099.7 | 1,099.8 | 0.0 | 1,099.8 | 1,108.2 | 1,108.0 | 0.2 |
| გრანტები | 1,099.6 | 0.0 | 1,099.6 | 1,099.6 | 0.0 | 1,099.6 | 1,108.0 | 1,108.0 | 0.0 |
| სხვა შემოსავლები | 0.1 | 0.0 | 0.1 | 0.2 | 0.0 | 0.2 | 0.2 | 0.0 | 0.2 |
| ხარჯები | 1,083.2 | 0.0 | 1,083.2 | 1,099.8 | 0.0 | 1,099.8 | 1,092.6 | 1,092.6 | 0.0 |
| შრომის ანაზღაურება | 466.8 | 0.0 | 466.8 | 504.6 | 0.0 | 504.6 | 509.8 | 509.8 | 0.0 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქონელი და მომსახურება | 140.9 | 0.0 | 140.9 | 135.3 | 0.0 | 135.3 | 116.1 | 116.1 | 0.0 |
| სუბსიდიები | 66.8 | 0.0 | 66.8 | 71.4 | 0.0 | 71.4 | 70.8 | 70.8 | 0.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 279.9 | 0.0 | 279.9 | 264.2 | 0.0 | 264.2 | 269.0 | 269.0 | 0.0 |
| სხვა ხარჯები | 128.8 | 0.0 | 128.8 | 124.3 | 0.0 | 124.3 | 126.9 | 126.9 | 0.0 |
| საოპერაციო სალდო | 16.5 | 0.0 | 16.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 15.6 | 15.4 | 0.2 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 2.4 | 0.0 | 2.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 40.7 | 15.4 | 25.3 |
| ზრდა | 2.4 | 0.0 | 2.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 45.7 | 15.4 | 30.3 |
| კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 5.0 | 0.0 | 5.0 |
| ზრდა | 14.1 | 0.0 | 14.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 14.1 | 0.0 | 14.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 25.1 | 0.0 | 25.1 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 25.1 | 0.0 | 25.1 |
| ბალანსი | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| *ნაშთის ცვლილება* | *14.1* | *0.0* | *14.1* | *0.0* | *0.0* | *0.0* | *0.0* | *0.0* | *0.0* |

## მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 2019 წელს-1,108.2ათასი ლარის ოდენობით

| დასახელება | კოდი | 2017 წლის ფაქტი | | | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | | 1,099.70 | 0 | 1,099.70 | 1,099.80 | 0 | 1,099.80 | 1,138.30 | 1,108.00 | 30.3 |
| შემოსავლები | | 1,099.70 | 0 | 1,099.70 | 1,099.80 | 0 | 1,099.80 | 1,108.20 | 1,108.00 | 0.2 |
| არაფინანსური აქტივების კლება | | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 5 |
| ფინანსური აქტივების კლება | 32 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 25.1 | 0 | 25.1 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსავლები | 1 | 1,099.70 | 0 | 1,099.70 | 1,099.80 | 0 | 1,099.80 | 1,108.20 | 1,108.00 | 0.2 |
| გრანტები | 13 | 1,099.60 | 0 | 1,099.60 | 1,099.60 | 0 | 1,099.60 | 1,108.00 | 1,108.00 | 0 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 133 | 1,099.60 | 0 | 1,099.60 | 1,099.60 | 0 | 1,099.60 | 1,108.00 | 1,108.00 | 0 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 1311 | 1,099.60 | 0 | 1,099.60 | 1,099.60 | 0 | 1,099.60 | 1,108.00 | 1,108.00 | 0 |
| სპეციალური ტრანსფერი | | 1,074.60 | | 1,074.60 | 1,074.60 | | 1,074.60 | 1,078.00 | 1,078.00 | |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | | 25 | | 25 | 25 | | 25 | 30 | 30 | |
| სხვა შემოსავლები | 14 | 0.1 | 0 | 0.1 | 0.2 | 0 | 0.2 | 0.2 | 0 | 0.2 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 143 | 0.1 | | 0.1 | 0.2 | | 0.2 | 0.2 | 0 | 0.2 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 31 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 5 |
| ძირითადი აქტივები | 311 | 0 | | 0 | 0 | | 0 | 5 | 0 | 5 |
| ფინანსური აქტივების კლება | 32 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 25.1 | 0 | 25.1 |
| საშინაო | 321 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 25.1 | 0 | 25.1 |

**მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 1,108.00 ათასი ლარის ოდენობით, მ.შ. სპეციალური ტრანსფერი –1078,0ათ.ლარი, მიზნობრივი-30.0ათ.ლარი.

| დასახელება | კოდი | 2017 წლის ფაქტი | | | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |
| გრანტები | 13 | 1,099.60 | 0 | 1,099.60 | 1,099.60 | 0 | 1,099.60 | 1,108.00 | 1,108.00 | 0 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან | 133 | 1,099.60 | 0 | 1,099.60 | 1,099.60 | 0 | 1,099.60 | 1,108.00 | 1,108.00 | 0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გამოყოფილი ტრანსფერი | | | | | | | | | | |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 1311 | 1,099.60 | 0 | 1,099.60 | 1,099.60 | 0 | 1,099.60 | 1,108.00 | 1,108.00 | 0 |
| სპეციალური ტრანსფერი | | 1,074.60 | | 1,074.60 | 1,074.60 | | 1,074.60 | 1,078.00 | 1,078.00 | |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | | 25 | | 25 | 25 | | 25 | 30 | 30 | |

**მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**
2019 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახადების სახით შემოსავლები გათვალისწინებული არ არის.

**მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 0,2ათ.ლარით.

| დასახელება | კოდი | 2017 წლის ფაქტი | | | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |
| სხვა შემოსავლები | 14 | 0.1 | 0 | 0.1 | 0.2 | 0 | 0.2 | 0.2 | 0 | 0.2 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 143 | 0.1 | | 0.1 | 0.2 | | 0.2 | 0.2 | 0 | 0.2 |

**მუხლი 7. არაფინანსური აქტივების ცვლილება (კლება)**
განისაზღვროს არაფინანსური აქტივების ცვლილება (კლება) 30,1ათ.ლარით:

| დასახელება | კოდი | 2017 წლის ფაქტი | | | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |
| არაფინანსური | 31 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 5 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აქტივების კლება | | | | | | | | | | |
| ძირითადი აქტივები | 311 | 0 | | 0 | 0 | | 0 | 5 | 0 | 5 |

### მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის 2019წლის ბიუჯეტის გადასახდელები 1092,6ათასი ლარის ოდენობით:

| ორგ.კოდი | დასახელება | 2017 წლის ფაქტი | | | 2018 წლის გეგმა | | | 2019 გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |
| 2 | ხარჯები | 1,083.2 | 0.0 | 1,083.2 | 1,099.8 | 0.0 | 1,099.8 | 1,092.6 | 1,092.6 | 0.0 |
| 21 | შრომის ანაზღაურება | 466.8 | 0.0 | 466.8 | 504.6 | 0.0 | 504.6 | 509.8 | 509.8 | 0.0 |
| 22 | საქონელი და მომსახურება | 140.9 | 0.0 | 140.9 | 135.3 | 0.0 | 135.3 | 116.1 | 116.1 | 0.0 |
| 25 | სუბსიდიები | 66.8 | 0.0 | 66.8 | 71.4 | 0.0 | 71.4 | 70.8 | 70.8 | 0.0 |
| 27 | სოციალური უზრუნველყოფა | 279.9 | 0.0 | 279.9 | 264.2 | 0.0 | 264.2 | 269.0 | 269.0 | 0.0 |
| 28 | სხვა ხარჯები | 128.8 | 0.0 | 128.8 | 124.3 | 0.0 | 124.3 | 126.9 | 126.9 | 0.0 |

### მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

არაფინანსური აქტივების ცვლილება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2019 წლისათვის განისაზღვროს -ზრდა -45,7ათ.ლარით, კლება -5.0ათ.ლარით.

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | | | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 2.4 | 0.0 | 2.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 40.7 | 15.4 | 25.3 |
| ზრდა | 2.4 | 0.0 | 2.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 45.7 | 15.4 | 30.3 |
| კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 5.0 | 0.0 | 5.0 |

### მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება(კლება)

ფინანსური აქტივების (გასული წლების ნაშთის გამოყენება)ცვლილება (კლება) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2019წლისათვის განისაზღვროს -25.1ათ.ლარით.

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | | | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 14.1 | 0.0 | 14.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | -25.1 | 0.0 | -25.1 |
| ზრდა | 14.1 | 0.0 | 14.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 25.1 | 0.0 | 25.1 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 25.1 | 0.0 | 25.1 |

## მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო აღსრულების ფონდები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო აღსრულების ფონდები 2019 წელს შეადგენს 2.7 ათ.ლარს.

| ორგ.კოდი | დასახელება | 2017 წლის ფაქტი | | | 2018 წლის გეგმა | | | 2019 გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |
| 01 03 | სარეზერვო ფონდი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.0 | 1.0 | 0.0 | 2.5 | 0.0 | 2.5 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.0 | 1.0 | 0.0 | 2.5 | 0.0 | 2.5 |
| | სხვა ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.0 | 1.0 | 0.0 | 2.5 | 0.0 | 2.5 |
| 01 04 | წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო აღსრულების ფონდი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.2 | 0.0 | 0.2 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.2 | 0.0 | 0.2 |
| | სხვა ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.2 | 0.0 | 0.2 |

## მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2017წლის ფაქტი | | | 2018წლის გეგმა | | | 2019წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 566.5 | 0 | 566.5 | 594.4 | 0 | 594.4 | 626.1 | 595.8 | 30.3 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 566.5 | 0 | 566.5 | 594.4 | 0 | 594.4 | 626.1 | 595.8 | 30.3 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 566.5 | 0 | 566.5 | 593.4 | 0 | 593.4 | 623.4 | 593.1 | 30.3 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 2.7 | 2.7 | 0 |
| 702 | თავდაცვა | 25 | 0 | 25 | 29.1 | 0 | 29.1 | 29.1 | 29.1 | 0 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 705 | გარემოს დაცვა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 4.1 | 0 | 4.1 | 1.5 | 0 | 1.5 | 6 | 6 | 0 |
| 7062 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 4.1 | 0 | 4.1 | 1.5 | 0 | 1.5 | 6 | 6 | 0 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 67.3 | 0 | 67.3 | 71.9 | 0 | 71.9 | 73.8 | 73.8 | 0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 38.7 | 0 | 38.7 | 35.9 | 0 | 35.9 | 36.2 | 36.2 | 0 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 28.6 | 0 | 28.6 | 36 | 0 | 36 | 37.6 | 37.6 | 0 |
| 709 | განათლება | 21.2 | 0 | 21.2 | 21.4 | 0 | 21.4 | 21.6 | 21.6 | 0 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 21.2 | 0 | 21.2 | 21.4 | 0 | 21.4 | 21.6 | 21.6 | 0 |
| 710 | სოციალური დაცვა | 401.5 | 0 | 401.5 | 381.5 | 0 | 381.5 | 381.7 | 381.7 | 0 |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 93.5 | 0 | 93.5 | 89.7 | 0 | 89.7 | 92 | 92 | 0 |
| 7102 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 39.5 | 0 | 39.5 | 44 | 0 | 44 | 44.3 | 44.3 | 0 |
| 7103 | ომში დაღუპულ პირთა ოჯახების სოციალური დაცვა | 15 | 0 | 15 | 15 | 0 | 15 | 14.5 | 14.5 | 0 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 47.5 | 0 | 47.5 | 48.1 | 0 | 48.1 | 48.8 | 48.8 | 0 |
| 7107 | სოციალური დახმარებები | 193 | 0 | 193 | 170.2 | 0 | 170.2 | 170.1 | 170.1 | 0 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა (დაკრძალვის )ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება | 13 | 0 | 13 | 14.5 | 0 | 14.5 | 12 | 12 | 0 |
| | სულ | 1,085.60 | 0 | 1,085.60 | 1,099.80 | 0 | 1,099.80 | 1,138.30 | 1,108.00 | 30.3 |

**მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**
2019 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი -0,0 ლარის ტოლია.

**მუხლი 14. ჯილდოები, დანამატები და დახმარებები**
2019 წლის განმავლობაში აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებზე ჯილდოს, დანამატების, დახმარების გაცემა განხორციელდეს დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

**მუხლი 15. ადგილობრივი შესყიდვები**
თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებით შესყიდვას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 16. საბიუჯეტო ასიგნებათა ხარჯვა**
1. დაუშვებელია ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურების გაცემა შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის გადახდის გარეშე.
2. სახსრების ის ნაწილი, რომელიც ფისკალური წლის განმავლობაში არ იქნა ათვისებული, შეიძლება გამოიყენებულ იქნეს მომდევნო წელს.

3. აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის პროგრამები და ღონისძიებები ხორციელდება გაფორმებული "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის ხელშეკრულების საფუძველზე, მათზე კონტროლი (ინსპექტირება) დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს გამგებლის ბრძანებით.

4. გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული სარეზერვო ფონდიდან. თანხის გაცემა განხორციელდეს გამგებლის ბრძანების საფუძველზე, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, ხოლო თანხას გამოყოფს გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი.

5. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო აღსრულების ფონდიდან თანხების გაცემა განხორციელდეს გამგებლის ბრძანების საფუძველზე, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, ხოლო თანხას გამოყოფს გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი.

6. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის შესაბამისად, ასევე 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტში აჟარის მუნიციპალიტეტის გათანაბრებითი ტრანსფერის ნაცვლად გამოეყო სპეციალური ტრანსფერი და მისი ოდენობა 2019 წელს განისაზღვრა -1078,0ათ.ლარით. შესაბამისად, 2019 წლის ბიუჯეტის ყველა გადასახდელი დაფინანსდება სპეციალური ტრანსფერით.

**მუხლი 17. მიზნობრივი ტრანსფერის ხარჯვა**
დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 30,0ათ.ლარის ოდენობის 29,1ათ.ლარი მიიმართოს „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების ხარჯებისათვის, ხოლო 0.9ათ.ლარი დევნილთა დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის.

**მუხლი 18. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**
მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის (დახმარების) პროგრამებისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლისათვის დადგენილი წესის, სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებული მონაცემების და ამ ბიუჯეტის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით.

**მუხლი 19. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**
აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილი მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის, კულტურის, დასვენებისა და სპორტის სფეროების, სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის განვითარებისათვის, 2019 წელს მუნიციპალიტეტის სტრატეგია უცვლელია, ძირითადი პრიორიტეტებია:

| ორგ.კოდი | დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 გეგმა |
|---|---|---|---|---|
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 566.5 | 594.4 | 626.1 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 25 | 29.1 | 29.1 |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 4.1 | 1.5 | 6 |
| 04 00 | განათლება | 21.2 | 21.4 | 21.6 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის | 67.3 | 71.9 | 73.8 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ხელშეწყობა და სპორტი | | | |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 401.5 | 381.5 | 381.7 |

1. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (კოდი 06 00)

აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, იძულებით გადაადგილებული ოჯახების და მოქალაქეების მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს დევნილი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას.

სოციალური დახმარების მიმღებ (ბენეფიციარი) პირს შეუძლია ერთჯერადად ისარგებლოს სოციალური დახმარების რამდენიმე მუხლით.

1.1. მოსახლეობის სოციალური დახმარება(კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების

დახმარებას, მარტოხელა პენსიონერების დახმარებას, მარჩენალდაკარგული პირების დახმარებას, ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარებას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედების, ახალშობილთა ბავშვების დაბადებისათვის ოჯახის დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, მოსახლეობის სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

1.1.1. ავადმყოფთა და შშმ პირთა სოციალური დახმარებები ( კოდი 06 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, იძულებით გადაადგილებული პირებისათვის დაფინანსდება:

ა) ზემო აფხაზეთიდან დევნილი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდებიან, მოხდება სპეციალური სავარძლის შეძენა, რომლის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 500 ლარს;

ბ) ბიუჯეტიდან ანაზღაურდება იძულებით გადაადგილებული ონკოლოგიურად დაავადებული პირების ოპერაციის, მკურნალობის, დიაგნოსტიკისა და დაავადებასთან დაკავშირებული გამოკვლევებისა და მედიკამენტების ხარჯები. დახმარების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს;

გ) ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, მკვეთრად და მნიშვნელოვნად და ბავშვობიდან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე იძულებით გადაადგილებული პირები, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების ერთჯერად დაფინანსება (თითოეულ ბენეფიციარზე 200 ლარის ოდენობით);

დ) ქვეპროგრამის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ პირთათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად საწოლიდან ადგომა აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შეძენილი იქნება სპეციალური სამედიცინო მოწყობილობა (ნაწოლების საწინააღმდეგო ლეიბი, რომლის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 250 ლარს);

ე) აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადად ანაზღაურდება ამავე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირების ოპერაციები(გარდა საკეისრო კვეთისა) და მასთან დაკავშირებული ხარჯები და ასევე ოპერაციასთან დაკავშირებული მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯები, თუ ოპერაციული ჩარევიდან, მუნიციპალიტეტშიმომართვის თარიღამდე გასული პერიოდი არ აღემატება სამ თვეს.. დახმარების ოდენობა განისაზღვრება სოციალური დახმარების გაცემის სამუშაო ჯგუფის მიერ, რაც ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 500 ლარს, ხოლო ცალკე მედიკამენტოზური მკურნალობის ნაწილში - 250 ლარს;

ვ) აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება ამავე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირების მიერ წარმოდგენილი ფორმა №100-ის საფუძველზე, დიაგნოზის დაზუსტების მიზნით, სხეულის ერთი ან რამდენიმე ორგანოს მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიული გამოკვლევა, რაც ჯამში(ერთის ან ორივეს შემთხვევაში) არ უნდა აღემატებოდეს 500 ლარს;

ზ) აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება ამავე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირების კორონაროგრაფიული კვლევის ხარჯები, მათ მიერ წარმოდგენილი ფორმა №100-ის საფუძველზე. აღნიშნული მომსახურების ანაზღაურება მოხდება 2019 წლის განმავლობაში და ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 900 ლარს.

თ) აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადად არაუმეტეს 1500 ლარის ოდენობით ანაზღაურდეს, იძულებით გადაადგილებული მცირეწლოვანი ბავშვების (0-10წლამდე), რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში, სამედიცინო მომსახურების (მათ შორის სარეაბილიტაციო პროცედურები, მედიკამენტების შეძენა, დაავადებათა შემდგომი პრევენცია) ხარჯები, მათთვის განსაკუთრებულ პირობებში და გადაუდებელ შემთხვევაში, ჯანმრთელობის მოშლის ისეთი ფორმის არსებობისას, როდესაც მათი სიცოცხლე საფრთხეშია და დაუყოვნებელი მკურნალობის გარეშე სიკვდილი გარდაუვალია, ან/და როდესაც სახეზეა დაინვალიდების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესების აშკარა და გარდაუვალი საფრთხე და რასაც უპირობოდ უკავშირდება დაავადებების სამკურნალო და სარეაბილიტაციო ღონისძიებების აუცილებელი განხორციელება;

ი) ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, 1992 წლიდან-2004 წლამდე საომარი მოქმედებისა და სამხედრო დავალების შესრულების დროს მიღებული მძიმე ტრამვის(კიდურების: ხელის, ფეხის ამპუტაცია) დაინვალიდებულ პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება (თითოეულს არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით).;

კ) აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად ფულად დახმარება გაეწევათ ამავე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე ასაკის იძულებით გადაადგილებული შემდეგი კატეგორიის ბავშვებს:

კ.ა) მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული მხედველობა დაქვეითებული, ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, იშვიათი დაავადებებით დაავადებულ და დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვებს გაეწევათ სოციალური ფულადი დახმარება არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

კ. ბ) ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, იშვიათი დაავადებებით დაავადებულ და დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვების სამედიცინო და სოციალური დახმარების ფარგლებში, მოხდება: ოპერაციული მკურნალობის, სტაციონარული, ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის, კვლევების, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაფინანსება, მათ შორის სპეციალიზებულ დაწესებულებებში მომსახურების ანაზღაურება ერთჯერადად არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით(ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაფინანსების მიმღები პირები ვერ ისარგებლებენ 1.1.1. „ე“ პუნქტით;

**1.1.2. ხანდაზმულთა სოციალური დაცვა ( კოდი 06 01 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული:

ა) ერთჯერად (200 ლარის ოდენობით) დაფინანსებას მიიღებენ იძულებით გადაადგილებული მოქალაქეები 80-დან 100 წლამდე, ხოლო ერთჯერად (500 ლარის ოდენობით) დაფინანსებას მიიღებენ იძულებით გადაადგილებული მოქალაქეები რომელთაც შეუსრულდათ 100 და მეტი წელი.

ბ) ერთჯერად ფულად დახმარებას მიიღებენ მარტოხელა პენსიონერები (თითოეული 200 ლარის ოდენობით).

**1.1.3. ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა (კოდი 06 01 03)**

ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვის კუთხით ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის

ა) ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, იძულებით გადაადგილებულ მარტოხელა მშობელს (დედებს/მამებს) - ერთჯერადი ფულადი დახმარება, თითოეულს 200

ლარის ოდენობით;

ბ) ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია იძულებით გადაადგილებული მრავალშვილიანი ოჯახების (3 და მეტი 0-დან 18 წლამდე), ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვროს სამ შვილზე 200 ლარი და ყოველ მომდევნო შვილზე 50 ლარით მეტი;

გ) აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს დახმარება- მე-3 და მეტი შვილის შეძენისას. (დახმარება განისაზღვრება მე-3 ბავშვის დაბადებისათვის 200 ლარის ოდენობით, მე-4 ბავშვის დაბადებისათვის 400 ლარის ოდენობით და ა.შ. ყოველშემდგომ ბავშვზე 200 ლარით მეტი);

დ) პროგრამის ფარგლებში, აგრეთვე, ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ იძულებით გადაადგილებული ოჯახები,რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში და ჰყავთ პირველკლასელი ბავშვები (დახმარება გაეწევათ თითოეულს არაუმეტეს 40 ლარის ღირებულების სასკოლო ჩანთით);

ე) პროგრამის ფარგლებში ერთჯერადად, 200 ლარის ოდენობით, დახმარება გაეწევათ იძულებით გადაადგილებულ ბავშვებს 0-დან 18 წლამდე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში და არიან მარჩენალდაკარგული პირები;

ვ)ერთჯერად (1500 ლარის ოდენობით) დაფინანსებას მიიღებენ აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, დედ-მამით ობოლი (0-დან 18 წლამდე) იძულებით გადაადგილებულ ბავშვები.

**1.4. ომში დაღუპულ პირთა ოჯახების სოციალური დაცვა (კოდი 06 01 04)**

ერთჯერადი (500 ლარის ოდენობით) ფინანსური დახმარება გაეწევათ ომში დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში.

**1.1.5 სოციალური დახმარებები (კოდი 06 01 05)**

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან დახმარება გაეწევათ :

ა) ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში და აქვთ ბუნებრივი აირი. დახმარებას მიიღებენ გაზის გამათბობლის სახით (ოჯახზე ერთი), თითოეულის საცხოვრებელი ბინის ფართობის გათვალისწინებით;

ბ) აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება იძულებით გადაადგილებული ოჯახების, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში, ბუნებრივი აირით მომარაგების სისტემის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება, ბუნებრივი აირით მომარაგების სისტემის სამონტაჟო სამუშაოების განმახორციელებელი ორგანიზაციის ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე რომელიც არ უნდა აღემატებოდეს (ერთი ოჯახისათვის) 400 ლარს;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების დახმარება – ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწევათ პროფესიული საგნმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის საფასურის დაფინანსების არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით, საკრებულოს მიერ დადგენილი 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესაბამისად.

დ) სპორტსმენებს, რომლებიც 2014-2019 წლებში გახდნენ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები დიდებში და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, გაეწევათ მატერიალური დახმარება 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით და ასევე მათ უშუალო მწვრთნელებს 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით; სპორტსმენებს, რომლებიც 2014-2019 წლებში გახდნენ ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორები დიდებში და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, გაეწევათ მატერიალური დახმარება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით და ასევე მათ უშუალო მწვრთნელებს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; სპორტსმენებს, რომლებიც 2014-2019 წლებში გახდნენ საქართველოს ჩემპიონები დიდებში და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, გაეწევათ მატერიალური დახმარება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, პრიზიორებს – 300 (სამასი) ლარის ოდენობით, ხოლო მათ უშუალო მწვრთნელებს – 300 (სამასი) ლარის ოდენობით;“

ე) ავტორიზებული სასწავლებლებისა და აკრედიტებული დაწესებულებების მაგისტრატურის, რეზიდენტურის ან რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადება) პროგრამაში რიცხულ პირებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში, გაეწევათ დახმარება სწავლის საფასურის თანადაფინანსების სახით, წელიწადში არაუმეტეს 1125 ლარის ოდენობით;

ვ) ერთჯერადად (ორასი) ლარის ოდენობით დახმარებას მიიღებენ აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი დევნილი მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენლებად და რომელთა სარეიტინგო ქულა 57001-ზე ნაკლებია;

ზ)ერთჯერად დახმარებას (საკვები პროდუქტების სასაქონლო პაკეტით) მიიღებენ აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შემდეგი კატეგორიის ბენეფიციარები: 2002-2019 წლებში დაბადებული დევნილი ბავშვები, ომში დაღუპული პირის ოჯახი, ხანდაზმული პირი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (შშმპ), მარტოხელა პენსიონერი. ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარება, შესაბამისი კატეგორიებით გათვალისწინებულ ოჯახებს/პირებს, გაეწევათ საახალწლოდ, სოციალური დახმარების გაცემის სამუშაო ჯგუფის მიერ მოძიებული მონაცემების და საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური დახმარების წესის შესაბამისად . თითოეული პაკეტის ღირებულება განისაზღვრება არაუმეტეს 70 ლარისა;

თ) აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადი ფულადი დახმარება (500 ლარის ოდენობით) გაეწევათ აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სასულიერო პირებს, მათ რელიგიურ საქმიანობაში ხელშეწყობის მიზნით,საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური დახმარების წესის შესაბამისად.

### 1.1.6. სარიტუალო მომსახურების ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება (კოდი 06 01 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, იძულებით გადაადგილებული გარდაცვლილი პირების, სარიტუალო მომსახურებაში დახმარება (თითოეულ ბენეფიციარზე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით).

## 2. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი ( კოდი 05 00)

აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტი აქტიურად უწყობს ხელს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების განხორციელებას და ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს; პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის ჩართვას აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2019წლის განმავლობაში სუბსიდირების წესით დაფინანსებას მიიღებენ აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის შემდეგი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები: ,,ს. აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“ და ,,ს. აჭარის სპორტსკოლა“.

### 2.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა ( კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში მოხდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიების მხარდაჭერა და დაფინანსება ნიჭიერი სპორტსმენების წახალისების, ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვისათვის და აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,ს. აჭარის სპორტსკოლის“ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა.

### 2.1.1 . სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (კოდი 05 01 01)

2019 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდება შემდეგი სპორტული ღონისძიებები:

**ა) „ძიუდოსა და თავისუფალ ჭიდაობაში ვარჯიში და სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობა“** – ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ ა(ა)იპ ,,ს.აჟარის სპორტსკოლის“ მოსწავლე ბავშვები. შეიქმნება მათთვის ვარჯიშისათვის და ტურნირებში მონაწილეობისათვის საჭირო პირობები;

**ბ) ,,ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში“** – ღონისძიების ფარგლებში გაიმართება ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობს მიიღებენ ა(ა)იპ ,,ს. აჟარის სპორტსკოლის“ მოსწავლე ბავშვები და აჟარის (ზემოაფხაზეთის) მუნიციპალიტეტიდან იძულებით გადაადგილებული სკოლის მოსწავლე ბავშვები, მოხდება გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება;

**გ) ,,ზემო აფხაზეთის გარდამავალი თასი და სხვადასხვა ტურნირი ფეხბურთში“** – ღონისძიების ფარგლებში მოხდება მოსწავლე ახალგაზრდების საფეხბურთო წვრთნა, რისთვისაც შექმნილი იქნება სათანადო პირობები. გაიმართება საფეხბურთო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ა(ა)იპ ,,ს. აჟარის სპორტსკოლის“ საფეხბურთო გუნდები, მოხდება საპრიზო ადგილის მფლობელთა გამოვლენა და დაჯილდოება. ა(ა)იპ ,,ს. აჟარის სპორტსკოლის“ საფეხბურთო გუნდები მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ტურნირებში.

**დ) ,,ლაშქრობა“** – ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებულია აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტიდან იძულებით გადაადგილებილი ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ დასავლეთ საქართველოში 2-დღიანი ლაშქრობა ძამას ხეობაში.

აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები პირებისათვის ფოლადაურში(ბოლნისის რაიონი) ,მათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, მოეწყობა სპორტული ფესტივალი. აჟარის სპორტსკოლის და სხვა მოსწავლეები ერთმანეთს შეეჯიბრებიან სპორტის სხვადასხვა სეხეობებში, ღამით მოთავსდებიან აჟარის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ კარვებში და ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ,სოფელ ფოლადაურში განთავსებულ კოტეჯებში (ბოლნისის მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით). ფესტივალი გაგრძელდება სამი დღე, აჟარის სპორტსკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული განრიგის და წესის შესაბამისად.

აჟარის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მონაწილეების ტრანსპოტირებას და განთავსებას.

2.1.2. ა(ა)იპ ,,ს. აჟარის სპორტსკოლის“ დაფინანსება (კოდი 05 01 02)

ასიგნებების ფარგლებში დაფინანსებას სუბსიდიის სახით მიიღებს ა(ა)იპ ,,ს. აჟარის სპორტსკოლა“.

ამ სკოლაში დაქირავებული პედაგოგების მეშვეობით სპორტის სხვადასხვა სახეობებში ვარჯიშებს , სპეციალურ წვრთნას და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობას გაივლიან აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, იძულებით გადაადგილებული სხვადასხვა ასაკის მოზარდები. მათთვის შექმნილი იქნება სათანადო პირობები.

2.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა ( კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები, დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,ს. აჟარის კულტურის ცენტრის მოსწავლეებისათვის სამეცადინოდ შესაბამისი პირობების შექმნა.

2.2.1. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება ( კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან დაფინანსდება შემდეგი კულტურული ღონისძიებები:

**ა) ,,დედაენის დღე“** – დედაენის დღესთან დაკავშირებით ზემო აფხაზეთის რესურს ცენტრის ხელშეწყობით გაიმართება ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტიდან დევნილი ახალგაზრდები;

**ბ) ,,ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნა“** – ღონისძიების ფარგლებში, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გათვალისწინებულია აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტიდან დევნილი, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების წაყვანა მთაწმინდის პარკში, მათთვის სხვადასხვა სახის ატრაქციონებზე გასართობად ბარათების შეძენა და ნაყინით გამასპინძლება;

**გ) ,,1991-2008 წლის მოვლენებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები“** – ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებულია 1991-2008 წლებში მომხდარი საომარი მოქმედებების დროს და საქართველოს მთლიანობისთვის შეწირული გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი მშვიდობიანი აქციის მოწყობა და გმირთა მემორიალის ყვავილებით შემკობა;

**დ) ,,სიმღერის და ცეკვის სწავლება“** – ღონისძიების ფარგლებში ა(ა)იპ ,,ს. აჟარის კულტურის ცენტრთან“ არსებული სიმღერისა და ცეკვის წრეებისათვის მოწვეულები იქნებიან ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის პედაგოგებს შექმნილი ექნებათ ყველა პირობა, სადაც ბავშვები შეისწავლიან ცეკვა -სიმღერას და ხალხურ საკრავებზე დაკვრას;

**ე) ,,ინტელექტუალურ-შემეცნებითი პროექტი „ერუდიტი“** - ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიაზე ჩასახლებული აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტიდან დევნილი სკოლის მოსწავლე 100-150 ბავშვის მონაწილეობა ინტელექტუალურ-შემეცნებით პროექტ „ერუდიტში“ მონაწილეობა, მოხდება დებულების შემუშავება, თამაშის ორგანიზება, გამარჯვებულთა დაჯილდოვება;

**ვ) ,,გასართობი ღონისძიება“** – ამ ქვეპროგრამის ფარგლებში აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის შეძენილ იქნება ქ. თბილისში **ცირკის წარმოდგენაზე** დასასწრები ბილეთები. აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შერჩეული იქნება წარმოდგენა სათანადო ასაკობრივი ჯგუფისათვის და მოხდება დასწრების ორგანიზება;

**ზ)** საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი **„ეტალონი 2019“**- 2019 წლის გაზაფხულზე ქ.თბილისში ჩატარდება „კოდორის ხეობის ეტალონი მოსწავლის“გამოსავლენი ინტელექტუალური კონკურსი, კონკურსში გამარჯვებული დაჯილდოვდება და მონაწილეობას მიიღებს 2019 წლის მაისში სპორტის სასახლეში „საქართველოს 2019წლის ეტალონი მოსწავლეს“ გამოსავლენ კონკურსში.

### 2.2.2. ა(ა)იპ „ს. აჟარის (ზემო აფხაზეთის)მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ დაფინანსება (კოდი 05 02 02)

დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში დაფინანსებას სუბსიდიის სახით მიიღებს ა(ა)იპ „ს. აჟარის კულტურის ცენტრი“. მის მიერ დაქირავებული პედაგოგების მეშვეობით კულტურის სხვადასხვა სახეობებში სპეციალურ წვრთნას გაივლიან და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებენ აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, იძულებით გადაადგილებული სხვადასხვა ასაკის მოზარდები. ამისთვის მათთვის შექმნილი იქნება სათანადო პირობები.

### 3. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (კოდი 02 00)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ ხორციელდება წვევამდელთა აღრიცხვა, მობილიზება და მათი გაწვევის პუნქტებზე მათი გამოცხადების უზრუნველყოფა.

### 3.1. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა ( კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ ხორციელდება წვევამდელთა აღრიცხვა, მობილიზება და მათი გაწვევის პუნქტებზე მათი გამოცხადების უზრუნველყოფა. აღნიშნული ღონისძიებისათვის მიმართული იქნება 2019 წლის დაფინანსება მიზნობრივი ტრანსფერიდან – 29,1ათ.ლარით.

### 4. განათლება (კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

### 4.1. სკოლამდელი განათლება ( კოდი 04 01)

პროგრამის ფარგლებში აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2019 წლის განმავლობაში სუბსიდირების წესით დაფინანსებას მიიღებს აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ – ,,აჟარის საბავშვო ბაღი“რომელიც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ფუნქციონირებს თეთრიწყაროს

მუნიციპალიტეტის, სოფ.წინწყაროს საბავშვო ბაღში და ემსახურება ბავშვების აღზრდას.

**5. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (კოდი 03 00)**

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ზემო აფხაზეთიდან დევნილი, დაზარალებული, და საქართველოს ტერიტორიაზე ჩასახლებული დევნილი მოსახლეობისათვის ინფრასტრუქტურული, საბინაო-კომუნალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**5.1. საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარების თანადაფინანსება (კეთილმოწყობის ღონისძიებები დევნილთა ჩასახლებებში) (კოდი 03 01)**

საქართველოს ტერიტორიაზე ათეულობით არასამთავრობო და საბიუჯეტო ორგანიზაცია მუშაობს, რომელთა საქმიანობა მიმართულია ინფრასტრუქტურული სახის პროექტების განხორციელებისაკენ. მათი მიზანია ხელი შეუწყონ მუნიციპალიტეტში არსებული ძირითადი პრობლემების გადაჭრას, როგორიცაა დევნილთა ჩასახლებებში მათი საცხოვრისის გარე და შიდა რემონტების და შემოგარენის მოწყობის დაფინანსებას და შექმნან მექანიზმები შემდგომში ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება ძირითადად დაკავშირებულია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ კონკურსებთან და მათი დაფინანსების ძირითადი წყარო ამ კონკურსში გამარჯვების შედეგად მოპოვებული თანხებია. აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტი დადებითად აფასებს ამ ორგანიზაციების მიერ გამოჩენილ აქტიურობას და მათ საქმიანობას და ხელშეწყობის მიზნით აცხადებს მზადყოფნას გარკვეული თანადაფინანსებით წაახალისოს ყველა ის ორგანიზაცია (საბიუჯეტო, მუნიციპალიტეტები, საბავშო ბაგა-ბაღები, ბიბლიოთეკები, სკოლები და ა.შ.), არასამთავრობო, სათემო, არარეგისტრირებული კავშირი, არასამეწარმეო (არაკომერციული), მეწარმე და სხვა), რომელიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენს წილობრივ თანადაფინანსებას და პროექტის განხორციელებით ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილების საცხოვრებელი პირობების მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ მიზნით მოხდება 2019 წლის ბიუჯეტიდან მსგავსი პროექტების თანადაფინანსება.

**6. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (01 00)**

ამ კოდით ფინანსდება მუნიციპალიტეტის ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები. 2019 წლის ბიუჯეტში, როგორც წინა წლებშიც, მინიმალურია ადმინისტრაციული ხარჯები. კერძოდ, შრომის ანაზღაურება განსაზღვრული არის მხოლოდ თანამდებობრივი სარგოთი.

2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული არის მუნიციპალიტეტის ა/ტრანსპორტის განახლება(სულ 2 ა/მანქანა ირიცხება)ამისათვის გამოყოფილია 40.0ათ.ლარი.(მ.შ.25,1ათ.ლარი გასული წლების ნაშთიდან, 5.0ათ.ლარი ძველი ა/მანქანების გაყიდვიდან შემოსული სავარაუდო თანხა).

| ორგ. კოდი | დასახელება | 2017 წლის ფაქტი | | | 2018 წლის გეგმა | | | 2019 გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 566.5 | 0.0 | 566.5 | 594.4 | 0.0 | 594.4 | 626.1 | 595.8 | 30.3 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 26.0 | 0.0 | 26.0 | 31.0 | 0.0 | 31.0 | 31.0 | 20.0 | 11.0 |
| | ხარჯები | 564.1 | 0.0 | 564.1 | 594.4 | 0.0 | 594.4 | 580.4 | 580.4 | 0.0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შრომის ანაზღაურება | 442.1 | 0.0 | 442.1 | 475.8 | 0.0 | 475.8 | 481.0 | 481.0 | 0.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 121.9 | 0.0 | 121.9 | 117.5 | 0.0 | 117.5 | 96.6 | 96.6 | 0.0 |
| 01 01 | აჭარის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 236.6 | 0.0 | 236.6 | 246.0 | 0.0 | 246.0 | 265.7 | 255.4 | 10.3 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 11.0 | | 11.0 | 11.0 | | 11.0 | 11.0 | | 11.0 |
| | ხარჯები | 234.2 | 0.0 | 234.2 | 246.0 | 0.0 | 246.0 | 243.3 | 243.3 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 206.3 | 0.0 | 206.3 | 202.1 | 0.0 | 202.1 | 202.0 | 202.0 | 0.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 27.9 | 0.0 | 27.9 | 43.9 | 0.0 | 43.9 | 41.3 | 41.3 | 0.0 |
| 01 02 | აჭარის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 329.9 | 0.0 | 329.9 | 347.4 | 0.0 | 347.4 | 357.7 | 337.7 | 20.0 |
| | ხარჯები | 329.9 | 0.0 | 329.9 | 347.4 | 0.0 | 347.4 | 334.4 | 334.4 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 235.8 | 0.0 | 235.8 | 273.7 | 0.0 | 273.7 | 279.0 | 279.0 | 0.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 94.0 | 0.0 | 94.0 | 73.6 | 0.0 | 73.6 | 55.3 | 55.3 | 0.0 |

## მუხლი 20. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, თანდართული რედაქციით:

| ორგ.კოდი | დასახელება | 2017 წლის ფაქტი | | | 2018 წლის გეგმა | | | 2019 გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან ი | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |
| | აჭარის მუნიციპალიტეტი | 1,085.6 | 0.0 | 1,085.6 | 1,099.8 | 0.0 | 1,099.8 | 1,138.3 | 1,108.0 | 30.3 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 28.0 | 0.0 | 28.0 | 33.0 | 0.0 | 33.0 | 33.0 | 22.0 | 11.0 |
| | ხარჯები | 1,083.2 | 0.0 | 1,083.2 | 1,099.8 | 0.0 | 1,099.8 | 1,092.6 | 1,092.6 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 466.8 | 0.0 | 466.8 | 504.6 | 0.0 | 504.6 | 509.8 | 509.8 | 0.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 140.9 | 0.0 | 140.9 | 135.3 | 0.0 | 135.3 | 116.1 | 116.1 | 0.0 |
| | სუბსიდიები | 66.8 | 0.0 | 66.8 | 71.4 | 0.0 | 71.4 | 70.8 | 70.8 | 0.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 279.9 | 0.0 | 279.9 | 264.2 | 0.0 | 264.2 | 269.0 | 269.0 | 0.0 |
| | სხვა ხარჯები | 128.8 | 0.0 | 128.8 | 124.3 | 0.0 | 124.3 | 126.9 | 126.9 | 0.0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2.4 | 0.0 | 2.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 45.7 | 15.4 | 30.3 |
| | ძირითადი აქტივები | 2.4 | 0.0 | 2.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 45.7 | 15.4 | 30.3 |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 566.5 | 0.0 | 566.5 | 594.4 | 0.0 | 594.4 | 626.1 | 595.8 | 30.3 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 26.0 | 0.0 | 26.0 | 31.0 | 0.0 | 31.0 | 31.0 | 20.0 | 11.0 |
| | ხარჯები | 564.1 | 0.0 | 564.1 | 594.4 | 0.0 | 594.4 | 580.4 | 580.4 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 442.1 | 0.0 | 442.1 | 475.8 | 0.0 | 475.8 | 481.0 | 481.0 | 0.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 121.9 | 0.0 | 121.9 | 117.5 | 0.0 | 117.5 | 96.6 | 96.6 | 0.0 |
| | სხვა ხარჯები | 0.1 | 0.0 | 0.1 | 1.1 | 0.0 | 1.1 | 2.8 | 2.8 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2.4 | 0.0 | 2.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 45.7 | 15.4 | 30.3 |
| | ძირითადი აქტივები | 2.4 | 0.0 | 2.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 45.7 | 15.4 | 30.3 |
| 01 01 | აჟარის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 236.6 | 0.0 | 236.6 | 246.0 | 0.0 | 246.0 | 265.7 | 255.4 | 10.3 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 11.0 | | 11.0 | 11.0 | | 11.0 | 11.0 | | 11.0 |
| | ხარჯები | 234.2 | 0.0 | 234.2 | 246.0 | 0.0 | 246.0 | 243.3 | 243.3 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 206.3 | 0.0 | 206.3 | 202.1 | 0.0 | 202.1 | 202.0 | 202.0 | 0.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 27.9 | 0.0 | 27.9 | 43.9 | 0.0 | 43.9 | 41.3 | 41.3 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2.4 | 0.0 | 2.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 22.4 | 12.1 | 10.3 |
| | ძირითადი აქტივები | 2.4 | 0.0 | 2.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 22.4 | 12.1 | 10.3 |
| 01 02 | აჟარის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 329.9 | 0.0 | 329.9 | 347.4 | 0.0 | 347.4 | 357.7 | 337.7 | 20.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 15.0 | | 15.0 | 20.0 | | 20.0 | 20.0 | 20.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 329.9 | 0.0 | 329.9 | 347.4 | 0.0 | 347.4 | 334.4 | 334.4 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 235.8 | 0.0 | 235.8 | 273.7 | 0.0 | 273.7 | 279.0 | 279.0 | 0.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 94.0 | 0.0 | 94.0 | 73.6 | 0.0 | 73.6 | 55.3 | 55.3 | 0.0 |
| | სხვა ხარჯები | 0.1 | 0.0 | 0.1 | 0.1 | 0.0 | 0.1 | 0.1 | 0.1 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 23.3 | 3.3 | 20.0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | |
| | ძირითადი აქტივები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 23.3 | 3.3 | 20.0 |
| 01 03 | სარეზერვო ფონდი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.0 | 0.0 | 1.0 | 2.5 | 2.5 | 0.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.0 | 0.0 | 1.0 | 2.5 | 2.5 | 0.0 |
| | სხვა ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.0 | 0.0 | 1.0 | 2.5 | 2.5 | 0.0 |
| 01 04 | წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო აღსრულების ფონდი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.2 | 0.2 | 0.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.2 | 0.2 | 0.0 |
| | სხვა ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.2 | 0.2 | 0.0 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 25.0 | 0.0 | 25.0 | 29.1 | 0.0 | 29.1 | 29.1 | 29.1 | 0.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 2.0 | 0.0 | 2.0 | 2.0 | 0.0 | 2.0 | 2.0 | 2.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 25.0 | 0.0 | 25.0 | 29.1 | 0.0 | 29.1 | 29.1 | 29.1 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 24.7 | 0.0 | 24.7 | 28.8 | 0.0 | 28.8 | 28.8 | 28.8 | 0.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 0.3 | 0.0 | 0.3 | 0.3 | 0.0 | 0.3 | 0.3 | 0.3 | 0.0 |
| 02 02 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა | 25.0 | 0.0 | 25.0 | 29.1 | 0.0 | 29.1 | 29.1 | 29.1 | 0.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 2 | | 2 | 2 | | 2 | 2 | 2 | 0 |
| | ხარჯები | 25.0 | 0.0 | 25.0 | 29.1 | 0.0 | 29.1 | 29.1 | 29.1 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 24.7 | 0.0 | 24.7 | 28.8 | 0.0 | 28.8 | 28.8 | 28.8 | 0.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 0.3 | 0.0 | 0.3 | 0.3 | 0.0 | 0.3 | 0.3 | 0.3 | 0.0 |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 4.1 | 0.0 | 4.1 | 1.5 | 0.0 | 1.5 | 6.0 | 6.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 4.1 | 0.0 | 4.1 | 1.5 | 0.0 | 1.5 | 6.0 | 6.0 | 0.0 |
| | სხვა ხარჯები | 4.1 | 0.0 | 4.1 | 1.5 | 0.0 | 1.5 | 6.0 | 6.0 | 0.0 |
| 03 01 | საბინაო-კომუნალური მეურნეობის თანადაფინანსება(კეთილმოწყობის ღონისძიებები დევნილთა ჩასახლებებში) | 4.1 | 0.0 | 4.1 | 1.5 | 0.0 | 1.5 | 6.0 | 6.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 4.1 | 0.0 | 4.1 | 1.5 | 0.0 | 1.5 | 6.0 | 6.0 | 0.0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სხვა ხარჯები | 4.1 | 0.0 | 4.1 | 1.5 | 0.0 | 1.5 | 6.0 | 6.0 | 0.0 |
| 04 00 | განათლება | 21.2 | 0.0 | 21.2 | 21.4 | 0.0 | 21.4 | 21.6 | 21.6 | 0.0 |
| | ხარჯები | 21.2 | 0.0 | 21.2 | 21.4 | 0.0 | 21.4 | 21.6 | 21.6 | 0.0 |
| | სუბსიდიები | 21.2 | 0.0 | 21.2 | 21.4 | 0.0 | 21.4 | 21.6 | 21.6 | 0.0 |
| 04 01 | სკოლამდელი განათლება | 21.2 | 0.0 | 21.2 | 21.4 | 0.0 | 21.4 | 21.6 | 21.6 | 0.0 |
| | ხარჯები | 21.2 | 0.0 | 21.2 | 21.4 | 0.0 | 21.4 | 21.6 | 21.6 | 0.0 |
| | სუბსიდიები | 21.2 | | 21.2 | 21.4 | | 21.4 | 21.6 | 21.6 | 0.0 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 67.3 | 0.0 | 67.3 | 71.9 | 0.0 | 71.9 | 73.8 | 73.8 | 0.0 |
| | ხარჯები | 67.3 | 0.0 | 67.3 | 71.9 | 0.0 | 71.9 | 73.8 | 73.8 | 0.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 18.7 | 0.0 | 18.7 | 17.5 | 0.0 | 17.5 | 19.2 | 19.2 | 0.0 |
| | სუბსიდიები | 45.6 | 0.0 | 45.6 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 49.2 | 49.2 | 0.0 |
| | სხვა ხარჯები | 3.0 | 0.0 | 3.0 | 4.4 | 0.0 | 4.4 | 5.4 | 5.4 | 0.0 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 38.7 | 0.0 | 38.7 | 35.9 | 0.0 | 35.9 | 36.2 | 36.2 | 0.0 |
| | ხარჯები | 38.7 | 0.0 | 38.7 | 35.9 | 0.0 | 35.9 | 36.2 | 36.2 | 0.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 8.9 | 0.0 | 8.9 | 9.8 | 0.0 | 9.8 | 10.6 | 10.6 | 0.0 |
| | სუბსიდიები | 27.9 | 0.0 | 27.9 | 24.8 | 0.0 | 24.8 | 23.4 | 23.4 | 0.0 |
| | სხვა ხარჯები | 1.9 | 0.0 | 1.9 | 1.3 | 0.0 | 1.3 | 2.2 | 2.2 | 0.0 |
| 05 01 01 | სპორტული ღონისძიებების დაფინანსება | 10.8 | 0.0 | 10.8 | 11.1 | 0.0 | 11.1 | 12.8 | 12.8 | 0.0 |
| | ხარჯები | 10.8 | 0.0 | 10.8 | 11.1 | 0.0 | 11.1 | 12.8 | 12.8 | 0.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 8.9 | 0.0 | 8.9 | 9.8 | 0.0 | 9.8 | 10.6 | 10.6 | 0.0 |
| | სხვა ხარჯები | 1.9 | 0.0 | 1.9 | 1.3 | 0.0 | 1.3 | 2.2 | 2.2 | 0.0 |
| 05 01 02 | სპორტული სკოლები | 27.9 | 0.0 | 27.9 | 24.8 | 0.0 | 24.8 | 23.4 | 23.4 | 0.0 |
| | ხარჯები | 27.9 | 0.0 | 27.9 | 24.8 | 0.0 | 24.8 | 23.4 | 23.4 | 0.0 |
| | სუბსიდიები | 27.9 | | 27.9 | 24.8 | | 24.8 | 23.4 | 23.4 | 0.0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 28.6 | 0.0 | 28.6 | 36.0 | 0.0 | 36.0 | 37.6 | 37.6 | 0.0 |
| | ხარჯები | 28.6 | 0.0 | 28.6 | 36.0 | 0.0 | 36.0 | 37.6 | 37.6 | 0.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 9.8 | 0.0 | 9.8 | 7.7 | 0.0 | 7.7 | 8.6 | 8.6 | 0.0 |
| | სუბსიდიები | 17.7 | 0.0 | 17.7 | 25.2 | 0.0 | 25.2 | 25.8 | 25.8 | 0.0 |
| | სხვა ხარჯები | 1.1 | 0.0 | 1.1 | 3.1 | 0.0 | 3.1 | 3.2 | 3.2 | 0.0 |
| 05 02 01 | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | 10.9 | 0.0 | 10.9 | 10.8 | 0.0 | 10.8 | 11.8 | 11.8 | 0.0 |
| | ხარჯები | 10.9 | 0.0 | 10.9 | 10.8 | 0.0 | 10.8 | 11.8 | 11.8 | 0.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 9.8 | 0.0 | 9.8 | 7.7 | 0.0 | 7.7 | 8.6 | 8.6 | 0.0 |
| | სხვა ხარჯები | 1.1 | 0.0 | 1.1 | 3.1 | 0.0 | 3.1 | 3.2 | 3.2 | 0.0 |
| 05 02 02 | კულტურის ცენტრი | 17.7 | 0.0 | 17.7 | 25.2 | 0.0 | 25.2 | 25.8 | 25.8 | 0.0 |
| | ხარჯები | 17.7 | 0.0 | 17.7 | 25.2 | 0.0 | 25.2 | 25.8 | 25.8 | 0.0 |
| | სუბსიდიები | 17.7 | | 17.7 | 25.2 | | 25.2 | 25.8 | 25.8 | 0.0 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 401.5 | 0.0 | 401.5 | 381.5 | 0.0 | 381.5 | 381.7 | 381.7 | 0.0 |
| | ხარჯები | 401.5 | 0.0 | 401.5 | 381.5 | 0.0 | 381.5 | 381.7 | 381.7 | 0.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 279.9 | 0.0 | 279.9 | 264.2 | 0.0 | 264.2 | 269.0 | 269.0 | 0.0 |
| | სხვა ხარჯები | 121.6 | 0.0 | 121.6 | 117.3 | 0.0 | 117.3 | 112.7 | 112.7 | 0.0 |
| 06 01 | სოციალური პროგრამები | 401.5 | 0.0 | 401.5 | 381.5 | 0.0 | 381.5 | 381.7 | 381.7 | 0.0 |
| | ხარჯები | 401.5 | 0.0 | 401.5 | 381.5 | 0.0 | 381.5 | 381.7 | 381.7 | 0.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 279.9 | 0.0 | 279.9 | 264.2 | 0.0 | 264.2 | 269.0 | 269.0 | 0.0 |
| | სხვა ხარჯები | 121.6 | 0.0 | 121.6 | 117.3 | 0.0 | 117.3 | 112.7 | 112.7 | 0.0 |
| 06 01 01 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა | 93.5 | 0.0 | 93.5 | 89.7 | 0.0 | 89.7 | 92.0 | 92.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 93.5 | 0.0 | 93.5 | 89.7 | 0.0 | 89.7 | 92.0 | 92.0 | 0.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 90.7 | 0.0 | 90.7 | 86.5 | 0.0 | 86.5 | 90.5 | 90.5 | 0.0 |
| | სხვა ხარჯები | 2.8 | 0.0 | 2.8 | 3.2 | 0.0 | 3.2 | 1.5 | 1.5 | 0.0 |
| | მარტოხელა პენსიონერების და | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06 01 02 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 39.5 | 0.0 | 39.5 | 44.0 | 0.0 | 44.0 | 44.3 | 44.3 | 0.0 |
| | ხარჯები | 39.5 | 0.0 | 39.5 | 44.0 | 0.0 | 44.0 | 44.3 | 44.3 | 0.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 39.5 | 0.0 | 39.5 | 44.0 | 0.0 | 44.0 | 44.3 | 44.3 | 0.0 |
| 06 01 03 | ოჯახების და ბავშების სოციალური დაცვა | 47.5 | 0.0 | 47.5 | 48.1 | 0.0 | 48.1 | 48.8 | 48.8 | 0.0 |
| | ხარჯები | 47.5 | 0.0 | 47.5 | 48.1 | 0.0 | 48.1 | 48.8 | 48.8 | 0.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 44.6 | 0.0 | 44.6 | 45.4 | 0.0 | 45.4 | 45.6 | 45.6 | 0.0 |
| | სხვა ხარჯები | 2.9 | 0.0 | 2.9 | 2.7 | 0.0 | 2.7 | 3.2 | 3.2 | 0.0 |
| 06 01 04 | ომში დაღუპულთა ოჯახების სოციალური დაცვა | 15.0 | 0.0 | 15.0 | 15.0 | 0.0 | 15.0 | 14.5 | 14.5 | 0.0 |
| | ხარჯები | 15.0 | 0.0 | 15.0 | 15.0 | 0.0 | 15.0 | 14.5 | 14.5 | 0.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 15.0 | 0.0 | 15.0 | 15.0 | 0.0 | 15.0 | 14.5 | 14.5 | 0.0 |
| 06 01 05 | სოციალური დახმარებები | 193.0 | 0.0 | 193.0 | 170.2 | 0.0 | 170.2 | 170.1 | 170.1 | 0.0 |
| | ხარჯები | 193.0 | 0.0 | 193.0 | 170.2 | 0.0 | 170.2 | 170.1 | 170.1 | 0.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 77.1 | 0.0 | 77.1 | 58.8 | 0.0 | 58.8 | 62.1 | 62.1 | 0.0 |
| | სხვა ხარჯები | 115.9 | 0.0 | 115.9 | 111.4 | 0.0 | 111.4 | 108.0 | 108.0 | 0.0 |
| 06 01 06 | დევნილი ოჯახებისთვის დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება | 13.0 | 0.0 | 13.0 | 14.5 | 0.0 | 14.5 | 12.0 | 12.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 13.0 | 0.0 | 13.0 | 14.5 | 0.0 | 14.5 | 12.0 | 12.0 | 0.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 13.0 | 0.0 | 13.0 | 14.5 | 0.0 | 14.5 | 12.0 | 12.0 | 0.0 |